



IPWSO
International
Prader-Willi Syndrome
Organisation

დერმატილომანია პრადერ-ვილის სინდრომის მქონე ადამიანებში

თვითდაზიანება (დერმატილომანია) ანუ კანის დაკაწვრა პრადერ-ვილის სინდრომის (პვს) მქონე ადამიანებში ხშირი გამოვლინებაა. მსგავსი ქცევის სიხშირე და ხანგრძლივობა ადამიანიდან ადამიანზე და შემთხვევიდან შემთხვევამდე ვარირებს. ეს შეიძლება ვლინდებოდეს ჭრილობის ან მწერის ნაკბენის მოფხანიდან ჭრილობიდან სისხლდენამდე ან ინფიცირებამდე, ან ცხვირის ან ანალური ხვრელის თვითდაზიანებით. მსგავსი ქმედების ხანგრძლივად გაგრძელებამ შესაძლოა მტკივნეული ღია ჭრილობები გამოიწვიოს, რომლებიც ასახიჩრებენ კანის შესახედაობას. პროექტის FamCare ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ რესპონდენტთა 75%-ს შინიშნული აქვს დერმატილომანია თავის პვს-ს მქონე ნათესავებში. ამერიკელმა მეცნიერებმა მოკვლევის შედეგად დაადგინეს, რომ თვითდაზიანებისკენ მიდრეკილი ადამიანების 9,5%-ში დერმატილომანია ვლინდება ანალური ხვრელის დაზიანებით.

რატომ ემართებათ პვს-ს მქონე ადამიანებს დერმატილომანია?

ითვლება, რომ მსგავსი ქცევა საპასუხო რეაქციაა მოწყენილობაზე, სტრესზე და აღელვებაზე ან ვლინდება, როგორც თვითსტიმულაციის ფორმა. ასევე, ცნობილია, რომ პვს-ს მქონე ადამიანებს ტკივილის აღქმის მომატებული ზღურბლი აქვთ, ამიტომ ტკვილს არც ისე მწვავედ აღიქვამენ. პვს-ს მქონე ადამიანებს მსგავსი ქმედებისგან განთავისუფლება გარეშე დახმარების გარეშე არ შეუძლიათ, ვინაიდან ის მაშინვე იქცევა ჩვევად.

თუ შესაძლებელია დერმატილომანიის მიზეზების დადგენა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როდესაც ღელვა წარმოადგენს ამ პათოლოგიის სავარაუდო მიზეზს, საუკეთესო გამოსავალი სტრესის მიზეზებზე პვს-ს მქონე ადამიანთან დალაპარაკებაა. სტრესის მოშორება ან მისი დონის დაწევა თვითდაზიანების შემთხვევების შემცირებას იწვევს. თუმცა, გაითვალისწინეთ ის, რომ თვითდაზიანებების შემთხვევები შეიძლება გაგრძელდეს, ვინაიდან ისინი ჩვევაში გადავიდა, რომლის დაძლევისაც შედარებით მეტი დრო სჭირდება.

როგორ ავირიდოთ თავიდან დერმატილომანია?

არსებობს მარტივი და პრაქტიკული სტრატეგიები, რომლებიც დერმატილომანიის სიმძიმისა და სიხშირის დონის დაწევის საშუალებას იძლევა, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ეს შემთხვევები დროდადრო შეიძლება განმეორდეს.

ამ სტრატეგიებს მიეკუთვნება:

- ფრჩხილების რეგულარულად დაჭრა, მაგალითად, ყოველკვირა;
- ხელებზე დამატენიანებელი საშუალების წასმა (თითებიდან მხრებამდე);
 - ❖ უმჯობესია, რომ პვს-ს მქონე ადამიანმა თავად წაისვას
- ამას მხარი უნდა დაუჭიროთ, ჯანმრთელი და ლამაზი კანისკენ მოწოდებით;
- ხელები ყოველთვის რაღაცით უნდა იყოს დაკავებული: გამოიყენეთ წიგნი თავსატეხებით ან გამოცანებით, კომპიუტერული თამაშები, შესთავაზეთ ადამიანს რაიმესთვის ხელის მოჭერა ან თითებით წვალევა, მაგალითად, რბილი ბურთი ან

IPWSO relies on donations to support people with PWS and their families around the world. To find out more about our work and donate please visit us at www.ipwso.org/make-a-donation

კრიალოსანი, სტრესის მოსახსნელად, შესთავაზეთ თავისი ხელით გააკეთოს რამე, მაგალითად, მოქსოვოს, ააწყოს მძივები ან ნაქსოვი ნივთები დაშალოს;

- ხელების ყოველდღიური სენსორული სტიმულაცია (მთელს სიგრძეზე), მაგალითად, მასაჟის მეშვეობით;
- პეს-ს მქონე ადამიანისთვის მისაღები და მშვიდი გარემოს შენარჩუნება;
- ყოველდღიურად თმების დავარცხნის პროცედურა (გაუსვით სავარცხელი ბევრჯერ, მაგალითად, 50-ჯერ); თუ დავარცხნა პრობლემაა, მოახდინეთ სიტყვიერი სტიმულირება: „ლამაზი და მზრწყინავი თმები გაგეზრდება“.

როგორ შევზღუდოთ დერმატილომანიის შემთხვევები?

როგორც წესი, დერმატილომანიის შემთხვევებს ტალღისებური ხასიათი აქვს. ეს საკმაოდ რთული პერიოდია, თუმცა, შესაძლებელია შეტევებს შორის დროის გახანგრძლივება, ასევე, თავად შეტევის დროის შემცირება.

ქვემოთ აღწერილია რამდენიმე სტრატეგია, რომლებიც დაეხმარა მშობლებსა და მეურვეებს მსგავსი ქმედების სიხშირის შემცირებაში.

- უთხარით ადამიანს, თუ რა კარგად გამოიყურება მისი კანი დაზიანებების გარეშე
- შესთავაზეთ ადამიანს *ჭრილობის* მკურნალობაში დახმარება
- შეაქეთ ადამიანი იმ დროის გამო, რომელიც მან თვითდაზიანებების გარეშე გაატარა
- წახალისეთ ადამიანი (არა საკვებით) იმ დროის გამო, რომელიც მან თვითდაზიანებების გარეშე გაატარა: დააჯილდოვეთ რამდენიმე საათის ან დღის გამო, ან წახალისეთ იგი კვირის ბოლოს 7-დღიანი თავშეკავების გამო პრობლემის დამლევაში ხშირად გვეხმარება *შეთანხმებაზე* ხელმოწერა, რომელიც ათანხმებს „დროს თვითდაზიანების გარეშე“

- მწვავე პერიოდების დროს დააკავეთ ადამიანის ხელები (იხ. ზემოთ)

ანალური ხვრელის თვითდაზიანებისკენ მიდრეკილების შემთხვევაში, შესაძლოა კარგი შედეგი იქონიოს ტუალეტის ქაღალდისგან ბურთულების დაგორგლებამ - ეს ხელებს დააკავებს ტუალეტში ყოფნის მანძილზე

- ეცადეთ არ ისაუბროთ დერმატილომანიზე და არ გაამახვილოთ ყურადღება ამ საკითხზე
- გამოიყენეთ ყურადღების გადატანის დამამშვიდებელი და ქცევის გადამისამართების ვერბალური სტრატეგიები, მაგალითად, ადამიანს სთხოვეთ მოგიყვით იმის შესახებ, რაც მისთვისაა საინტერესო
- საჭიროების შემთხვევაში, ჭრილობები ანტისეპტიკური საშუალებებით დაამუშავეთ

- დაზიანებულ უბანზე ხელმისაწვდომის შესაზღუდად, დაადეთ მარლის საფენი ან ბინტი
- თვალყური ადევნეთ ადამიანს იმ შემთხვევაში, როდესაც ის თვითდაზიანებას იყენებს მარტო ყოფნისას (დამით ამის კონტროლირება მნელია)
- დაზიანებული არეების დასამუშავებლად გამოიყენეთ მარილისა და თბილი წყლის კონცენტრირებული ხსნარი
- ალოე ვერას ფუძეზე დამზარებული კრემები დაგეხმარებათ ჭრილობების შეხორცებაში
- წაუსვით ლოსიონი „კალამინი“ იმ უბანზე, რომელსაც გსურთ, რომ ადამიანმა ნაკლები ყურადღება მიაქციოს
- რთულ შემთხვევებში, მიზანშეწონილია სამკურნალწამლო საშუალებების გამოყენება (*მხოლოდ ექიმის დანიშნულებით*), მაგალითად:

ტოპირამატი, ბაკტობარანი (ადგილობრივი მოქმედების), პრეპრატტი ReVia (ნატრექსონის ჰიდროქლორიდი)

ნებისმიერი სამკურნალწამლო საშუალების გამოყენება უნდა მოხდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, პვს-ს მქონე ადამიანის მხრიდან რეაქციის თავიდან ასაცილებლად.

დერმატილომანია არამდგრადია. ყველაზე მისაღები გამოსავალი, უდავოდ, პროფილაქტიკაა, თუმცა დერმატილომანიის თავიდან ასაცილებელი მეთოდები, პვს-ს მქონე ადამიანებში ქცევის კონტროლის სხვა სტრატეგიებთან ერთად, რეგულარულად უნდა გამოიყენებოდეს.